ხელშეკრულება № 118
საარქივო მომსახურების გაწევის შესახებ

ქ. თეთრიწყარო 24 აგვისტო 2015წ.

ერთი მხრივ, თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტი (შემდგომში „შემსყიდველი") წარმოდგენილი მისი გამგებლის ბესიკ წიკლაურის სახით და მეორე მხრივ, საჯარო სამართლის იურიდიული პირი საქართველოს ეროვნული არქივი (შემდგომში „მიმწოდებელი), წარმოდგენილი ხელშეკრულებაზე ხელმომწერი უფლებამოსილი პირის, თეთრიწყაროს ადგილობრივი წარმომადგენლის ჯილდა ბედიანაშვილის (საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სსიპ საქართველოს ეროვნული არქივის გენერალური დირექტორის 2014 წლის 25 დეკემბრის № 341ას ბრძანება) სახით, დებენ წინამდებარე „სახელმწიფო შესყიდვის შესახებ" ხელშეკრულებას, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-10[1] მუხლის მე-3-ე პუნქტის „ზ" პუნქტისა და „დაწესებულებათა არქივების მუშაობის წესების შესახებ" საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2007 წლის №174 ბრძანების შესაბამისად, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

## 1. ხელშეკრულების საგანი

1.1 ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს საარქივო მომსახურების (თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის საკრებულოსა და გამგეობის 1998-2006 წლების დოკუმენტების სამეცნიერო-ტექნიკური დამუშავების) შესყიდვა. /79995100-CPV/

## 2. ხელშეკრულების ღირებულება

2.1 წინამდებარე ხელშეკრულების ღირებულება შეადგენს 1169,80 (ათას ას სამოცდაცხრა ლარი და 80 თეთრი) ლარს დ.ღ.გ-ს ჩათვლით.

2.2.ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების ღირებულება გაანგარიშებულია „საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საქართველოს ეროვნული არქივის მიერ გაწეული მომსახურებისათვის დაწესებული საფასურის ოდენობების, გადახდის წესისა და მომსახურების ვადების დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2011 წლის 29 დეკემბრის №506 დადგენილებით დამტკიცებული საარქივო მომსახურებისათვის დაწესებული საფასურის ოდენობების შესაბამისად

2.3. ხელშეკრულების ღირებულება მოიცავს მომსახურების გაწევასთან დაკავშირებულ მიმწოდებლის ყველა ხარჯსა და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებს.

## 3. ანგარიშსწორების ფორმა და ვადები

3.1 უნაღდო ანგარიშსწორება მიმწოდებელთან განხორციელდება ეტაპობრივად, ფაქტიურად გაწეული მომსახურების მიხედვით,მიმწოდებლის მიერ მომსახურების დამადასტურებელი დოკუმენტის (ანგარიშის) წარმოდგენის შემდეგ, გაფორმებული ეტაპობრივი მიღება-ჩაბარების აქტისა და შესაბამისად წარმოდგენილი საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის საფუძველზე,მისი წარმოდგენიდან 5 (ხუთი) სამუშაო დღის განმავლობაში. თუკი ანგარიშსწორების განხორციელების

ვადის ბოლო დღე ემთხვევა არასამუშაო დღეს, მაშინ ანგარიშსწორება განხორციელდება მომდევნო სამუშაო დღეს.
3.2 ანგარიშსწორება განხორციელდება ეროვნულ ვალუტაში.

## 4. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

4.1 მიმწოდებელი ვალდებულია:
ა) ხელშეკრულებით განსაზღვრულ ვადაში უზრუნველყოს თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის საკრებულოსა და გამგეობის 1998-2006 წლების დოკუმენტების სამეცნიერო-ტექნიკური დამუშავება, რომელიც მოიცავს:
ა) დოკუმენტებისა და საქმეების მოწესრიგებისას შედგენილი გეგმის მიხედვით, განახორციელოს საქმეების სისტემატიზაცია წლების და სტრუქტურული ნაწილების მიხედვით;
ბ) დოკუმენტების სამეცნიერო და პრაქტიკული ექსპერტიზა;
გ) საქმის ფორმირება, საქმეში ფურცლების სისტემატიზაცია, საბუთების შედგენა, საქმეების შეკერვა და ფურცლების ნუმერაცია;
დ) ყდების გაფორმება, დამოწმებული ფურცლების ჩაწებება, შესანახ საქმეთა სისტემატიზაცია, საქმეებისა და დოკუმენტების გასანადგურულებლად გამოყოფა და აქტის შედგენა
ე) მიმწოდებლის მიერ დაბეჭდილი ანაწერების შეჯერება, შენაკრავების განლაგება სათანადო წესის მიხედვით და სამეცნიერო-ტექნიკურ დამუშავებასთან დაკავშირებული სხვა მომსახურებები.

4.2 მიმწოდებელი უფლებამოსილია:
მოთხოვოს შემსყიდველს გაწეული მომსახურების შესაბამისი ანაზღაურება წინამდებარე ხელშეკრულების პირობების შესაბამისად.
4.3 შემსყიდველი ვალდებულია:
ა) გადაუხადოს მიმწოდებელს გაწეული მომსახურების ღირებულება ამ ხელშეკრულების 3.1. პუნქტით განსაზღვრულ პირობებითა და ვადებში.
ბ) უზრუნველყოს მიმწოდებელისათვის სამუშაო ოთახის გამოყოფა და შეუქმნას შესაბამისი სამუშაო პირობები.

4.4. შემსყიდველი უფლებამოსილია:
ნებისმიერ დროს გააკონტროლოს შემსრულებლის მიერ აღებული ვალდებულებების შესრულება და ხარისხი.

## 5. გაწეული მომსახურების მიღება-ჩაბარების წესი

5.1 წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურებების დასრულების შემდეგ მიმწოდებელი შემსყიდველს წარუდგენს მიღება-ჩაბარების აქტს. შემსყიდველის მხრიდან მიღება-ჩაბარების აქტზე ხელმომწერ უფლებამოსილ პირს წარმოადგენს - მუნიციპალიტეტის გამგეობის ადმინისტრაციული სამსახურის უფროსი დავით ფაღავა, მიმწოდებლის მხრიდან მიღება - ჩაბარების აქტზე ხელმომწერ უფლებამოსილ პირს წარმოადგენს საქართველოს ეროვნული არქივის - ტერიტორიული ორგანოს თეთრიწყაროს ადგილობრივი წარმომადგენელი.
5.2. მიღება-ჩაბარების აქტში მითითებულია:
ა) გაწეული მომსახურებების დასახელება;
ბ) გაწეული მომსახურებების ღირებულება;

გ) გაწეული მომსახურებების რაოდენობა;

5.3 მიღება-ჩაბარების აქტს თან ერთვის გაწეული მომსახურებების დამადასტურებელი დოკუმენტები დანართის სახით.

5.4 მიღება-ჩაბარების აქტს შეიძლება დაემატოს ნებისმიერი სხვა ინფორმაცია, რომელსაც წინამდებარე ხელშეკრულების მხარეები ჩათვლიან მიზანშეწონილად.

## 6. შესყიდვის ობიექტის მიწოდების პირობები

6.1 შესყიდვის ობიექტის მიწოდება განხორციელდება 2015 წლის 24 აგვისტოდან 2015 წლის 24 ნოემბრამდე.

6.2 შესყიდვის ობიექტის მიწოდების ადგილია: ქ.თეთრიწყარო თამარ მეფის ქუჩა #34.

## 7. ფორს-მაჟორი

7.1 წინამდებარე ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ წინამდებარე ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარომო სანქციების გამოყენებას, თუ წინამდებარე ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა არის ფორს-მაჟორული გარემოების შედეგი.

7.2 ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მისი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველის და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნეს: ომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და სხვა.

## 8. ხელშეკრულების შეწყვეტის პირობები

8.1 მხარეებს შეუძლიათ ვადამდე შეწყვიტონ წინამდებარე ხელშეკრულება შემდეგ შემთხვევებში:

ა) მიმწოდებელი უფლებამოსილია შეწყვიტოს წინამდებარე ხელშეკრულება თუ აღმოჩნდა, რომ შემსყიდველი ვერ უზრუნველყოფს წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული თანხის გადახდას;

ბ) შემსყიდველი უფლებამოსილია შეწყვიტოს წინამდებარე ხელშეკრულება მიმწოდებლის მიერ წინამდებარე ხელშეკრულების ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობის ან/და არაჯეროვნად შესრულების შემთხვევაში;

გ) წინამდებარე ხელშეკრულების შეწყვეტის ინიციატორი ვალდებულია შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია წერილობითი ფორმით, წინამდებარე ხელშეკრულების შეწყვეტამდე არაუგვიანეს 5 სამუშაო დღისა;

დ) ხელშკრულება შეიძლება შეწყდეს მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

## 9.პირგასამტეხლო ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის.

9.1 წინამდებარე ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულების ვადების დარღვევისათვის მხარეს ეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე სახელშეკრულებო ღირებულების 0,01%-ის ოდენობით.

9.2 იმ შემთხვევაში თუ ვადების გადაცდენისათვის დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 0,1% ,მხარეს უფლება აქვს შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოითხოვოს მეორე მხარისაგან ჯარიმის გადახდა.

9.3. საჯარიმო სანქციების გადახადა არ ათავისუფლებს შემსყიდველს ძირითადი ვალდებულების შესრულებისგან.

## 10. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

10.1. ხელშეკრულებაშინებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.

10.2 ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელსც ხელს აწერს ორივე მხარე და იგი ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად და დაერთვება ხელშეკრულებას.

10.3.ხელშეკრულების პირობების, მათ შორის ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

10.4. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული გარემოებების დადგომის შემთხვევაში, ხელშეკრულების ღირებულების გაზრდა დაუშვებელია ხელშეკრულების ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობით.

## 11.ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ინსპექტირება.

11.1.ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების ინსპექტირებას შემსყიდველის მხრიდან განახორციელებს მუნიციპალიტეტის გამგეობის ადმინისტრაციული სამსახურის უფროსი დავით ფაღავა, ხოლო მიმწოდებლის მხრიდან საქართველოს ეროვნული არქივი ტერიტორიული ორგანოს თეთრიწყაროს ადგილობრივი წარმომადგენელი ჯილდა ბედიანაშვილი.

11.2. ინსპექტირება გულისხმობს მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების შესრულებისა და გაწეული მომსახურების ხარისხის კონტროლს.

11.3. ყველა გამოვლენილი ხარვეზის ან ნაკლის აღმოფხვრასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

## 12. დავის გადაწყვეტა

12.1 წინამდებარე ხელშეკრულებით მხარეები თანხმდებიან, რომ ყველა ღონეს იხმარენ ურთიერთშეთანხმებით გადაწყვიტონ ურთიერთობის პერიოდში წამოჭრილი ნებისმიერი სახის დავა და უთანხმოება.

12.2 ურთიერთშეთანხმებით დავის გადაჭრის შეუძლებლობის შემთხვევაში, ნებისმიერი მხარე უფლებამოსილია დავის გადასაჭრელად დადგენილი წესით მიმართოს სასამართლოს.

## 13. დასკვნითი დებულებები

13.1 წინამდებარე ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, ოთხ თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად, რომელთაგან ორი გადაეცემა ,,შემსყიდველს", ორი კი ,,მიმწოდებელს"

## 14.ხელშეკრულების მოქმედების ვადა

14.1 წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის მისი ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2015 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

## 15. მხარეთა რეკვიზიტები:

„შემსყიდველი"

თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტი
მის: ქ. თეთრიწყარო, თამარ მეფის ქ. N34,
ს/კოდი: 230869254
ა/ა GE24NB0330100200165022
სახელმწიფო ხაზინა
ბ/კოდი TRESGE22

ბესიკ წიკლაური

მუნიციპალიტეტის გამგებელი

„მიმწოდებელი"

სსიპ ,,საქართველოს ეროვნული არქივი"
მის:ქ.თბილისი,ვაჟა-ფშაველას გამზ.N1
ს/ კოდი 211358957
ა/ა 707447080
სახელმწიფო ხაზინა
ბ/კოდი TRESGE22

ჯილდა ბეჭიაშვილი

სსიპ,,საქართველოს ეროვნული არქივი"-ს

ტერიტორიული ორგანოს თეთრიწყაროს

ადგილობრივი წარმომადგენელი